პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 მარტი ხუთშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 63 (15276)



ხალხთა მეგობრობის დროშით

ცაუბილეო წლის გაზაფხულია. ჩვენი ქვეყანა, მისი ხალი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის დიდი ზეიმისათვის ემზადება. ახლა ეს მზადება ერთნაირად იგრძნობა შორეულ ჩუკოტკის მიწაზე თუ ქართულ სოფელში.

დღეს ხალხთა საძმო კავშირის, მისი ორგანიზატორისა და ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის სახელს ადიდებენ ქართველები და რუსები, უკრაინელები და სომხები, ბელორუსები და აზერბაიჯანელები... და მათ უდავოდ აქვთ ამის საფუძველი. საკუთარი ქვეყნის წარსულთან აწყოს შედარებით ამთ კარგად იცან, თუ რას ნიშნავს საქმით ხალხთა ლენინური მეგობრობა, ინტერნაციონალური კავშირი. თანასწორუფლებიანთა ურთიერთ დახმარებით მოხდა ჩვენს ქვეყანაში დანგრეული სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია, განხორციელდა ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლუცია, სსრ კავშირის ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა იყო ის გადამწყვეტი ძალა, რომელმაც უზრუნველყო დიდ სამამულო ომში ფაშიზმზე გამარჯვება.

და აი ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის, როცა ხაზს ვუსვამთ ამ კავშირის ცხოველმყოფელობას, არ შეიძლება არ გავიხსენოთ მრავალთაგან ერთი მაგალითი საბჭოთა საქართველოს უახლოესი ისტორიიდან. 1944 წელს დაიწყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შენებლობა. სსრ კავშირის ყველა კუთხიდან დაბა რუსთავის მისამართით დაიძრნენ ეშელონები. მეტალურგიულ გიგანტს ქართველების მხარდამხარ აშენებდნენ მოძმე ერების შვილები. შორეული ტაგიდან მოდიოდა ასაწყობი სახლები, ლენინგრადიდან — ელექტრომოწყობილობა, ერევნიდან — ტუფის ქვა და მეტლახის ფილები, ბრიანსკიდან — ხე-ტყე, მაგნიტოგორსკიდან — ხარისხოვანი რკინა, მარიუპოლიდან — ბრძმედების ლიითონკონსტრუქციები, ტაშკენტიდან — ამწეები, კიევიდან ხიბის ამწეები, ალმა-ატიდან—ბუნკერები. ამიტომაც ახალ რუსთავს სამართლიანად უწოდებენ ხალხთა ძმობის ქალაქს. აქ დღეს მეგობრული სიყვარულით ცხოვრობენ ორმოცზე მეტი ერვნების ადამიანები. და სწორედ ამაშია ხალხთა ძმობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ძალა.

დღეს იგივე მეორდება საბჭოთა საქართველოს ენერგეტიკის ხიამაყის — ენგურჰესის შენებლობაზე. აქაც ქართველების მხარდამხარ იღვწიან მოძმე ერების შვილები, რომლებიც თავიანთი შრომითი საქმეებით ამდიდრებენ ხალხთა ლენინური მეგობრობის დიდ მატიანეს.

დიდი იუბილესთვის მზადების დღეებში საბჭოთა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში სულ უფრო მატულობს ღონისძიებათა რიცხვი, რომლებიც ეძღვნება ხალხთა მეგობრობას და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეების ფართო პროპაგანდას. ამ მრავალფეროვანი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მიზანი ის არის, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, კიდევ უფრო მჭიდრო გახდეს ლენინის პარტიის გარშემო მათი შეკავშირება.

კომუნისტურ პარტიას ინტერნაციონალური აღზრდა მიაჩნია იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად. ამას ერთხელ კიდევ მოწმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. მასში ნათქვამია:

„გაძლიერონ მუშაობა მშრომელთა აღზრდისათვის სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისთვის მზადების მსვლელობაში ყოველნაირად გააშუქონ ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, საბჭოთა რესპუბლიკების ერთ მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოდ გაერთიანების ისტორიული მნიშვნელობა, სოციალისტურ ერთა განვითარებისა და დაახლოების კანონზომიერებანი, საბჭოთა ხალხის მიღწევები კომუნისტურ მშენებლობაში“.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან კიდევ უფრო სრულყონ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის ფორმები და მეთოდები, საფუძვლიანად განუმარტონ მასების ხალხთა მეგობრობის ლენინური პრინციპები, ჩვენი პარტიის ეროვნული პოლიტიკა და მისი რეალური მონაპოვრები, აღზარდონ თვითეული მშრომელი სოციალისტური პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ცოცხალი, ცხოვრებისეული მაგალითებით მასებს უნდა ვუჩვენონ, რომ ერების ურთიერთობის შემდგომი განვითარება, ხალხთა მეგობრობის განმტკიცება, სოციალისტურ ერთა აყვავებისა და დაახლოების პროცესები კეთილსაყოფიერ გავლენას იმდენენ არა მარტო ეკონომიკასა და პოლიტიკაზე, არამედ აგრეთვე იდეოლოგიასა და მორალზე, კულტურასა და ყოფაცხოვრებაზე.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პროპაგანდას უნდა ვეწეოდეთ არა კამპანიურად, ან ცალკეულ ღონისძიებათა „შესავსებად“, არამედ სისტემატურად, გეგმაშეწონილად და მიზანდასახულად. მთავარია არა ღონისძიებათა სიმრავლე, არამედ მინაარსი, მისი მაღალიდეურობა და ქმედითობა. მასების წინაშე რომ გამოდის, თვითეული აგიტატორი, პოლიტინფორმატორი, პოლიტიკური მომსხენებელი, პროპაგანდისტი თუ ლექტორი ხაზს უნდა უსვამდეს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

პარტია მოგვიწოდებს იდეურ-აღმზრდელობითის მუშაობაში შეურიგებლად ვებრძოლოთ ეროვნული შეზღუდულობისა და განსაკუთრებულობის, წარსულის იდეალიზაციისა და ხალხთა ისტორიაში სოციალური წინააღმდეგობების მიჩქმალვის ტენდენციებს და ყველა იმ ზნე-ჩვეულებებს, რომლებიც ხელს უშლიან კომუნისტურ მშენებლობას.

მშრომელთა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდაში დიდი როლი აკისრია პრესას, რადიოს და ტელევიზიას. დიადი იუბილესათვის მზადების პერიოდში რესპუბლიკურ გაზეთებთან ერთად დიდი მუშაობა უნდა გასწიონ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა გაზეთებმა. საგაზეთო მასალების ერთ-ერთი ცენტრალური თემა უნდა გახდეს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმი. გამომცემლობებმა, ჟურნალების რედაქციებმა უნდა გააძლიერონ მომთხოვნელობა ლიტერატურული პროდუქციის იდეური შინაარსისადმი.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დროშით შეკავშირებულნი, ახალი შრომითი წარმატებით აღსავსენი შეეგებოთ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. ეს არის დღეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი ამოცანა.

მოგითხრობთ ჩვენი საძმოგლოს დედაქალაქ მოსკოვზე

კავშირის გული, გმირი ქალაქი

ახლა, როცა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით შთაგონებული მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება აღნიშნოს ჩვენი ქვეყნის ერებისა და ეროვნებების ერთიანობის, მეგობრობისა და ძმობის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების საყოველთაოსახალხო დღესასწაული, სულ უფრო მკაფიოდ და ამაღელვებლად გახსმის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა სკკპ XXIV ყრილობის ტრიბუნიდან:

„განსაკუთრებით მინდა შეეეხო მოსკოვს. ყველა საბჭოთა ადამიანისათვის იგი ქვეყნისაა, როგორც ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი, მრეწველობის, კულტურისა და მეცნიერების უდიდესი ცენტრი, როგორც ჩვენი დიადი სოციალისტური სახელმწიფოს სიმბოლო. მოსკოვში კეთილ-ვეც განხორციელდება დიდი სამუშაოები საბინაო მშენებლობისათვის, კეთილმოწყობისათვის, ტრანსპორტის სისტემის სრულყოფისათვის. გადავაქციოთ მოსკოვი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად — ეს მთელი საბჭოთა ხალხის ღირსების საქმეა!“.

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, სიამაყეს კომუნიზმის მშენებელთა დიადი მიღწევებისათვის, ნათელი მომავლის რწმენას იტევს სიტყვა **მოსკოვი**. სიტყვა, რომელსაც ერთხაირად პატივისცემით წარმოთქვამენ ჩვენი ქვეყნის ასზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები.

ნათელი მომავლის, კომუნიზმის შუქურებად ანთია ქვეყანაში კოცონები ვარსკვლავეფდი. მოსკოვი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქზე — მოგვითხრობენ მასალები, რომლებიც მოამზადა გაზეთ **„ვეჩერნაია მოსკვას“** რედაქციამ.

დიადი სახელმწიფოს სიმბოლო

მოსკოვის, როგორც საბჭოთა კავშირის დედაქალაქის, მატიანე იწყება 1922 წლის 30 დეკემბერს, როცა საბჭოთის პირველმა სრულიად საკავშირო ყრილობამ დაამტკიცა „ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ“, რომელშიც ჩაწერილი იყო: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქია მოსკოვი“. მას შემდეგ ეს ქალაქი დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგიის, შრომისმოყვარეობის, მამაცობისა და გმირობის მაგალითია.

მოსკოვი მარტოოდენ ხალხთა საყვარელი ქალაქი როდია. მოსკოვი—ეს არის კომუნიზმის მშენებელთა საბრძოლო რაზმი. აქ იბადება გაბედული და ბრძნული გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ საბჭოთა კავშირის ძლიერების ზრდას. მოსკოვში მუშაობს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი. აქ არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, სამინისტროები, პროფკავშირთა, კომკავშირის, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი ორგანოები.

მთელი ქვეყნის მშრომელთა მზერა შიპყრობილია დედაქალაქისადმი, როცა აქ მიმდინარეობს პარტიული ყრილობები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიები. მოსკოვი თითქოს სრულიად საკავშირო ფორუმი ხდება, სადაც ჩამოდიან ხალხის რჩეულნი, რათა ერთად გადაჭრან სახელმწიფო საქმეები. ყველას ახსოვს სკკპ XXIV ყრილობის მუშაობის შთამაგონებელი დღეები, რომელმაც დასახა აღმშენებლობის დიადი პროგრამა. „მოსკოვი, კრემლი. XXIV ყრილობას“ — ამ მისამართს ნახავდით ათასობით წერილსა და დეპეშაზე. ისინი გამოხატავდნენ ხალხის გრძნობებს, ჩვენი ცხოვრების სუნთქვას, ქვეყნის შრომითს მაჯისცემას.

არ არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, მეცნიერებისა და ხელოვნების ისეთი დარგი, რომელშიც თავისი წვლილი არ შეჰქონდეს დედაქალაქს.

მოსკოვი უდიდესი სამრეწველო ცენტრი, მოწინავე ინდუსტრიის ქალაქი, მოწინავე საწარმოო გამოცდილების ლაბორატორიაა. მოსკოვი — საბჭოთა და მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების თვალსაჩინო ცენტრია. მოსკოვი ინტერნაციონალური ტრადიციების ქალაქი, სსრ კავშირის ყველა ხალხის ერთიანობისა და ძმობის სიმბოლოა.

მარად ახალგაზრდაა ძველი მოსკოვი... წელს ჩვენს დედაქალაქს 825 წელი უსრულდება. უფროსი თაობის ადამიანებს ახსოვთ რევოლუციამდელი მოსკოვი: ბურუუაზიისა და ვაჭრების სასახლეები ცენტრში და ქოხმახები მუშათა გარეუბნებში, ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ქუჩები, საღამოობით ნავთის ლამპების მბჟუტავი შუქი.

უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში მოსკოვის საქალაქო საბჭომ დაიწყო მუშათა ოჯახების გადასახლება ქოხმახებიდან და სარდაფებიდან კეთილმოწყობილ ბინებში. ეს იყო პროლეტარიატის მასობრივი ჩასახლება ბურუუაზიის სახლებში.

ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის ყველაზე მძიმე იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ხვდებოდა არქიტექტორებს, ინჟინრებს, ესაუბრებოდა დედაქალაქის გარდაქმნის პროექტებზე, მის კეთილმოწყობაზე.

მშენებლობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ხამოქალაქო ომის შემდეგ. ხუროები, მებათქაშეები, დურგლები ავდგნენ ხარაჩოებზე. „სახლი მუშებისათვის. ააშენა მოსკოვის საბჭომ. 1923 წელი“ — ასეთი წარწერები გაჩნდა რამდენიმე შენობის ფასადებზე. იმ წელს 17 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადასცეს ხაენქსპლოატაციოდ.

ძველ მოსკოვს კომუნისტთა პარტიის ნებით გარდაქმნიდნენ სოციალისტურ, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმების საფუძველზე.

კომუნისტური პარტიის ნებით, ხალხის ნებით ბორცი შეისხა ლენინის ანდერძმა. გაიშალა საცხოვრებელი მასივების მშენებლობა. მიმდინარეობდა ქუჩების რეკონსტრუქცია, ფართოვდებოდა მანქანების სავალი გზები. მიწისქვეშ გაიყვანეს მეტროპოლიტენის ხაზები, უფრო ფაფუალსა გახდა მოსკოვ-მდინარე, რომელიც არხით შეუერთდა ვოლგას.

სამშობლოს, მშობლიურ ქალაქის უსაზღვრო სიყვარული მოსკოველებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს ომრომდაღერთი წლის მრისხანე დღეებში. მოსკოვს მთელი საბჭოთა ხალხი იცავდა.

შთაგონებით შეუდგნენ მოსკოველები დედაქალაქის განახლებას ომისშემდგომ წლებში. სამხრეთ-დასავლეთი და იზმაილოვო, ფილი-მაზილოვო და მედვედკოვო, ვოლხონკა-ზელი და დეგუნინო — თვითეული ასეთი საცხოვრებელი მასივი ქალაქის დიდი რაიონია.

ქალაქის რეკონსტრუქციის ახლანდელი ტემპი გვაოცებს თავისი გაქანებით. ერთი წლის მანძილზე ახალმოსახლეობას ზეიმობს 400 ათასზე მეტი კაცი. მოსკოვის განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც დამტკიცეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, შეიცავს შემდგომი გრანდიოზული მიღწევების მკაფიო პერსპექტივას, სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად მოსკოვის გადაქცევის საფუძვლებს.

ეს გეგმა ხორციელდება. ფართოდ მიმდინარეობს სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქცია, მათი ხელახალი ტექნიკური აღჭურვა, დღეს ქალაქის ინდუსტრიულ სახეს განსაზღვრავენ ყველაზე თანამედროვე მოწყობილობით, ავტომატიკის, ენერგეტიკის საშუალებებით აღჭურვილი საწარმოები.

მიმდინარე ხუთწლეულში კვლავინდებურად სწრაფი ტემპით წარიმართება საბინაო მშენებლობა. გათვალისწინებულია საეჭსპლოატაციოდ გადასცენ 27 მილიონ 700 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. დაიწყება ქალაქის ცენტრალური ნაწილის გარდაქმნა. დამთავრდება კალინინის პროსპექტის, დმიტროვის ქუჩის რეკონსტრუქცია, დაიწყება ქალაქის ახალი დიდმნიშვნელოვანი მაგისტრალის — ნოვოკოროოვსკის პროსპექტის მშენებლობა.

ერთ-ერთი გადაუდებელი საზრუნავია მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება. საქმე ეხება არა მარტო უფრო გამძლე, მაგარი შენობების აგებას, არამედ კომფორტსაც.

ჩვენი ქალაქისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მგზავრთა მოსახერხებელი გადაყვანის უზრუნველყოფის ამოცანას. ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდი უპირატესობა ენიჭება მეტროპოლიტენს. ახალ ხუთწლეულში მისი ქსელი 27 კილომეტრით გაიზრდება. გასული წლის დამლევს საეჭსპლოატაციოდ გადასცეს მეტროს ახალი უბანი ქალაქის ცენტრში. მან ერთმანეთთან დააკავშირა კალუგისა და რიგის რადიუსები. წელს მწყობრში ჩადგება კრასნაია პრესნიის რადიუსის პირველი რიგი — „კრასნოპრესენსკაიას“ სადგურიდან ოქტომბრის ველამდე. შემდგომში დამთავრდება ამ რადიუსის შეორე რიგის მშენებლობა, და შეტროს მატარებლები გაემართებიან ტუშინოში, ზახარკოვოში — ახალ დიდ საცხოვრებელ მასივებში ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით. ამ 17 კილომეტრი ხიგრძის რადიუსზე გაიხსნება ათი სადგური.

ხუთწლედის დამლევისათვის კრასნაია პრესნიას რადიუსს შეუერთებენ უდანოვის ხაზს — „ნოგინის მოედანი“ სადგურიდან „ბარიკადნაიას“ სადგურამდე. ამ სამკილომეტრიან მონაკვეთზე ქალაქის ცენტრში განხდება ახალი სადგურები „კუზნეცკი მოსტი“ და „პუშკინსკაია“. კალუგის რადიუსი „ნოვეე ჩერიომუშკის“ სადგურიდან გაგრძელდება 3,6 კილომეტრით და გაემართება ბელიაევოს საცხოვრებელი მასივისაკენ.

მეტროპოლიტენთან ერთად განვითარდება მიწისზედა სამგზავრო ტრანსპორტი. მაგრამ აქ წარმოიშობა სხვა პრობლემა — მოსახერხებელი გზების პრობლემა. უახლოესი წლების გეგმებში გათვალისწინებულია ქალაქისათვის დიდმნიშვნელოვანი მაგისტრალების — დმიტროვის, ვარშავის, რუბლიოვის, შერელკოვის გზატაცილების რეკონსტრუქცია.

ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების დარგში. მიმდინარე ხუთწლეულში გათვალისწინებულია საავადმყოფო დაწესებულებათა ფართო მშენებლობა. აშენდება 33-ათასსაწოლიანი საავადმყოფოები. ეს სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე გასულ ხუთწლეულში. გაიხსნება 79 პოლიკლინიკა. მათ ააგებენ ახალი ტიპიური პროექტებით, რომლებსაც აქვთ მთელი რიგი უპირატესობანი ძველ პროექტებთან შედარებით.

გათვალისწინებულია დიდი სახსრები მოხმარდეს განათლებისა და კულტურის განვითარებას. უნდა აშენდეს 155 სკოლის შენობა, 62-ათასადგილიანი სბავშვო დაწესებულებანი. აითუება 20 ახალი კინოთეატრის ეკრანები, მათ შორის 2.100-ადგილიანი ლენინის პროსპექტზე, 1.600-ადგილიანი იზმაილოვოში და სხვ. მთელ რიგ კინოდარბაზებს აპროეკტებენ ისე, რომ, თუ საჭირო გახდა, შეიძლებოდეს მათი გამოყენება როგორც საკონცერტო დარბაზებისა. ახალმოსახლეობას იზეიმებენ მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი, თეატრი „სოვრემენიკი“, სახელმწიფო სურათების გალერეა.

მოსკოვი ყოველთვის გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით. დედაქალაქის მომსახურების სფერო შემდგომშიც გაიზრდება. სავაჭრო ქსელს შეემატება 1000 მაღაზია და საზოგადოებრივი კვების 800 საწარმო. ახალი მაღაზიების უმრავლესობა თვითმომსახურების მეთოდით იმუშავებს.

მოსკოვი, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქი, ჩვენი სამშობლოს გული, თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის მშობლიური და ახლობელი ქალაქი, იმ ერთსულოვან ოჯახად შედეგადებული ყველა მოძმე ხალხის ურღვევი მეგობრობისა და მოწოლითური ერთიანობის სიმბოლოა, რომელსაც ეწოდება საბჭოთა ხალხი. აი რატომ არის, რომ მოსკოველები, ყველა საბჭოთა ადამიანი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოწოდებას — გადაქციონ მოსკოვი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად. მეცხრე ხუთწლედის წლები დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდება ამ გრანდიოზული ამოცანის განხორციელებაში.

ვ. პრომისლოვი.

მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

კულტურის საგანძური

„ალიზარდნენ ეროვნული კადრები, აყვავდა შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული კულტურა ხალხებისა“.

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“)

ალბათ, ჩვენს ქვეყანაში ვერ ნახავთ ადამიანს, რომელიც არ ესწრაფვოდეს მოსდგეს სსრ კავშირის დიდ თეატრში, მცირე თეატრში, მოსკოვის სამხატვრო აკადემიურ თეატრში, რომლებიც ჩვენი მრავალეროვნული კულტურის აყვავების ნათელ სიმბოლოს წარმოადგენენ.

ყველას ახსოვს, რომ დიდი თეატრის სცენაზე გამოსულან არა მარტო რუსული ვოკალური ხელოვნების კორიფეები. შემოქმედებითი კოლექტივის სახელოვან, შორეულ წარსულში წარმოშობილ ტრადიციებს ამდიდრებდნენ ტენორების დ. ანდღულაძისა და დ. ბადრიძის, ბარიტონ დ. გამრეკელის, ქორეოგრაფიის შესანიშნავი ოსტატის ვ. ვაბუკიანის გამოსვლები. გვახსოვს, თუ რა წარმატება ხვდა პ. ლისიციანს. უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის მიწა-წყალმა თეატრს შესძინა ირინე და ლეონადია მასლენიკოვები, ზვეზდინა და სმოლენსკაია, ბორისენკო და ოგნევცევი. ვოკალისტები, ბალეტის ასაოგაზრდა მსახიობები, მთელი ქვეყნის დირიჟორები მოისწრაფოდნენ, მოისწრაფვიან დედაქალაქში, რომელიც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრია. ამასთან ხშირად ისინი აქ მოდიან როგორც ჩამოყალიბებული ოსტატები, რომლებმაც წარმატება მოიპოვეს საცენაზე თავიანთ მშობლიურ რესპუბლიკებში. რიგის თეატრმა დიდი თეატრის სცენაზე გამოიყვანა ბალეტის სოლისტი მ. ლიეპა, ტაშკენტისამ — ბარიტონი პ. ვოლოვოვი და ბანი ნ. შნეიოლოვი, ალმა-ატისამ — ბანი ე. ივანოვი, უკრაინის თეატრმა — ა. კრივეზენია. როგორც შემსრულებლისათვის, ისევე მოსკოველი მაყურებლებისათვის მუდამ მოვლენაა ხოლმე სხვადასხვა რესპუბლიკების წარმომადგენელ სოლისტთა და დირიჟორთა საგასტროლო ვამოსვლები დიდ თეატრში. როგორც წესი, ეს გასტროლები შემოქმედებითი ხრლის საფეხურს წარმოადგენენ.

ბევრი რამ შეგვიძლია ვთქვათ იმის შესახებაც, რომ დედაქალაქის თეატრები, მათი ტრადიციები. კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ საბჭოთის კულტურულ ცხოვრებაზე.

მე, დრამატული თეატრის მსახიობმა, დიდი თეატრის შესახებ იმიტომ კი არ ვიამბეთ, რომ იგი ერთადერთი გამონაკლისი იყოს. გარკვეული თავმდაბლობა ნებას არ მაძლევს ჩამოვთვალო ჩემი მშობლიური მცირე თეატრის კოლექტივის წარმატებანი. და მაინც არ შემიძლია რამდენიმე სიტყვიდ არ შევეხო მას. თეატრის დასის შემადგენლობა, მისი რეპერტუარი სიმბოლურად გამოხატავს ჩვენს მრავალეროვან ქვეყანას, თუმცა მცირე თეატრის საწყისები რუსული კულტურის, რუსული ხელოვნების სიღრმეში უნდა ვეძიოთ. ჩემი კოლეგები და მე არაერთხელ გამოვსულვართ მოძმე რესპუბლიკების ქალაქებსა და სოფლებში, და მუდამ გულმხურვალედ, დაინტერესებით გვმასპინძლობდნენ, ამკარად ვგრძნობდით მაყურებლის უდიდეს ხიყვარულს ჩვენი ხელოვნებისადმი.

დედაქალაქშია უდიდესი კინოსტუდიები და სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლები, მუზეუმები და ბიბლიოთეკები, რომლებსაც სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ სრულიად საკავშირო, ეროვნულ ცენტრები. მოსკოვი სტუმართმოყვარულად ეგებება ხოლმე მოძმე რესპუბლიკების დეკადების, კვირეულების მონაწილეებს. მარტო შარშან ზაფხულში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე 150-ზე მეტი ხალხური თვითმოქმედი ანსამბლი გამოვიდა. მოსკოვში ეწყობა შემოქმედებითი კოლექტივებისა და ცალკეეული ოსტატების, საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლების გამოფენები, კონკურსები, დათვალიერებანი, ანგარიშები. საბჭოთა მრავალეროვნული კულტურის ნამდვილი ზეიმით აღინიშნა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი!

არ შეიძლება არ შევეხოთ დედაქალაქის სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლების დიდ როლს კადრების მომზადებაში. მაგალითად, შჩეპკინის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ სასწავლებელში ახლა სწავლობენ ყაზახები და თურქმენები, სულ ცოტა ხნის წინათ იგი დაამთავრეს იაკუტმა, სხვა ხალხთა წარმომადგენლებმა...

დედაქალაქიდან გაუსვლელადაც კი შეგვიძლია მივიღოთ საკმაოდ სრული წარმოდგენა საბჭოთა ხალხის ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის სიმდიდრეზე, ტრეტიაკოვის გალერიაში განვითარების პროცესშია წარმოდგენილი საბჭოთა სახვითი ხელოვნების ეროვნული სკოლები. საკონცერტო დარბაზებში ეროვნული მოძმე რესპუბლიკების კომპოზიტორთა მუსიკა.

მოსკოვის თეატრალურ აფიშაზე ვხედავთ სხვადასხვა რესპუბლიკის დრამატურგთა ნაწარმოებებს. დიდი რეზონანსი გამოიწვია სსრ კავშირის ხალხთა დრამატურგიისა და თეატრალური ხელოვნების სრულიად საკავშირო ფესტივალმა, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება. მოსკოვის თეატრები ამზადებენ სპექტაკლებს ბევრი რესპუბლიკის დრამატურგთა პიესების მიხედვით. მალე დაიდგმება დედაქალაქის სცენაზე ო. თაქთაქიშვილის ოპერა, ა. კორნეიჩუკის, ა. მაკაიონოკის, ო. იოსელიანის, ა. მარცინკიავიჩუსის, დ. აფრუზის, ვ. ბელჩინსკაიტესა და სხვათა პიესები. თებერვლის დამლევს სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების მსახიობის ცენტრალურ სახლში დაიწყო ჩვენი დიადი ქვეყნის რესპუბლიკების თეატრალური ხელოვნებისადმი მიძღვნილი საღამოების ციკლი.

ყოველი დღე გვაახლოებს ღირსსახსოვარ თარიღს — სსრ კავშირის 50 წლისთავს. მომავალ იუბილეს ეძღვნება შემოქმედებითი კოლექტივებისა და შემსრულებლების ფესტივალები, დათვალიერებანი, გამოსვლები. კულტურული ცხოვრების ეს მოვლენები ერთხელ კიდევ დაადასტურებენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიანობასა და ურღვევ მეგობრობას.

მ. ცარიოვი,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.



• • •

მოსკოვი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქი. სურათებზე: ზემოთ — კრემლის ხედი; ქვემოთ — ლენინის (მარცხნივ) და კალინინის პროსპექტები.

ფოტო ნ. გრანოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა) და ი. დენისენკოსი (ახალი ამბების სააგენტო).

ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა აბდულ ზაჰირს

15 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ავღანეთის პრემიერ-მინისტრი **აბდულ ზაჰირი.**

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, შეეხნენ სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებს, აგრეთვე ურთიერთსაინტერესო ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემას, კერძოდ, სამხრეთ აზიის პრობლემას.

ლ. ი. ბრეჟნევმა და აბდულ ზაჰირმა გამოთქვეს სრული რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ნდობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით გამსჭვალული მეგობრული კეთილმეზობლური ურთიერთობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება საბჭოთა ხალხისა და ავღანელი ხალხის საკეთილდღეოდ. საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მოლაპარაკება დამთავრდა

14 მარტს კრემლში დაიწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ა. ნ. კოსიგინის** მოლაპარაკება ავღანეთის პრემიერ-მინისტრთან **აბდულ ზაჰირთან.**

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრობისა და გულახდილობის ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების საკითხებზე, აგრეთვე ურთიერთსაინტერესო მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

15 მარტს კრემლში დამთავრდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ა. ნ. კოსიგინისა** და ავღანეთის პრემიერ-მინისტრის **აბდულ ზაჰირის** მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს განიხილეს საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები. მოლაპარაკებამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა და გამოავლინა მხარეების სრული თანხმობა განხილულ საკითხებზე. (საკდესი).

დარგაზოგა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში

15 მარტს საქართველოს კ

ავამაღლოთ დონე ორგანიზაციორული და პოლიტიკური მუშაობისა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის

ბიბლიოთეკა

ჩვენი პარტია მუდმივ ყურადღებას უთმობს პარტიული მშენებლობისა და ხელმძღვანელობის საკითხებს, ზრუნავს მათი ფორმებისა და მეთოდების დახვეწისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე თავისი ადგილობრივი ორგანოებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ზემოქმედების გაძლიერებისათვის. კერძოდ, სწორედ ასეთი ზრუნვით არის ნაკარნახევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

14 მარტს გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „ქალაქ თბილისის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების საქმეში“. მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ი. ლოლაშვილმა.

□ □

ვუმეთაუროთ მასების შრომითსა და პოლიტიკურ აქტივობას

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“, თქვა ამბ. ლოლაშვილმა, დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობის დოკუმენტია თბილისის კომუნისტებისა და ყველა შრომელი-სათვის. იგი გამსჭვალულია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინური ზრუნვით საბჭოთა საქართველოსა და მისი დედაქალაქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, მასში ღრმად აქვს გაკეთებული ანალიზი საქალაქო პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას. ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, თქვენი სახელით, საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ყველა წევრისა და თბილისის ყველა შრომელის სახელით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გადაგვაწოდო დიდი მადლობა ზრუნვისათვის, დახმარებისა და თბილისის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მუშათა და ინტელიგენციის თავდადებული შრომის ჯეროვანი შეფასებისათვის.

ქალაქის პარტიული ორგანიზაცია მთელ თავის მუშაობას აგებდა და აგებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ერთგულად იცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ ხაზს, მთელ ძალ-ღონესა და ენერგიას ამსარს პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტას. იგი თბილისის შრომელთა ნამდვილი პოლიტიკური ორგანიზატორია ბრძოლაში სახალხო-სამეურნეო გეგმების და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის, საქალაქო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ამის შედეგად თბილისი, აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, წარმატებით ვითარდება როგორც ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრი.

სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ გასულ პერიოდში, თქვა ამბ. ლოლაშვილმა, ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებას შეემატა ახალი შინაარსი, გამდიდრდა ახალი ფორმებითა და მეთოდებით. მრეწველობისა და ტრანსპორტის, მშენებლობისა და მომსახურების სფეროს საწარმოთა, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და სასწავლებლების, სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ბევრმა პირველადმა ორგანიზაციამ ღრმად გაიაზრა XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მზარდი ამოცანები და სწორად წარმართავს თავის ორგანიზაციორულ და პოლიტიკურ მუშაობას, და თუ ქალაქში სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ძირითად დარგებში მოპოვებული გვაქვს ბევრი წარმატება, ამაში, უწინარეს ყოვლისა, დამსახურება მიუძღვით პარტიის პირველადს ორგანიზაციებს, რომლებიც საქალაქო და რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელობით თავდადებით, შემოქმედებითად აბორიგეულებენ პარტიის წინასწარდასახულებებს. ასეთნაირ განეკუთვნება ლენინის სახელობის ელექტროსახმეხელური ქარხნის, სტალინის სახელობის ელექტროგაზონშემკეთებელი ქარხნის, დინამოროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, კიროვის სახელობის ჩარხსაამშენებელო ქარხნის, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებისა და სხვა პარტიული ორგანიზაციები.

სწორედ ამით გამოიხატება ჩვენი კომუნისტების, ჩვენი პარტიის პირველადი ორგანიზაციების ცხოვრებუნარიანობა, პოლიტიკური სიმწიფე და რევოლუციური სულისკვეთება.

ამასთან, თქვა შემდეგ ამბ. ლოლაშვილმა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში საგსებით სამართლიანად და მართებულად, პრინციპულად გააკრიტიკა პარტიის თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მუშაობის ორგანიზაციაში. აღინიშნა, რომ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე და გაჯანსაღ ჯერ კიდევ არ შეესაბამება მთლიანად იმ დიდ მოთხოვნებს, რომლებსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი გვიყენებს,

სკკპ ცენტრალური კომიტეტი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს თავის დადგენილებაში, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიკომები საკმად ან ზრუნავენ იმისათვის, რომ გაუმჯობესონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, გააძლიერონ მათი გავლენა საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობაზე. ბევრ პირველად პარტიულ ორგანიზაციაში არ აბორიგეულებენ ქმედითს ღონისძიებებს, რათა გააძლიერონ კომუნისტთა აქტივობა, მათი ინიციატივა, განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა.

მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ № 3, № 10, № 14, № 15 ტრესტების (მმართველები კ. ჭანჭალიანი, ი. არბელიძე, გ. კვიჩიძე, გ. ქორქაშვილი) სამშენებლო სამონტაჟო სამმართველოები, მსუბუქი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, კულტურის სამინისტროების სისტემის თბილისის ბევრი საწარმო სისტემატურად ფუშავს კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებას, ხოლო ქალაქის სავაჭრო სამმართველოების — „თბილტანსაცმელფაჭრობის“, „თბილფეხსაცმელთაფაჭრობის“, № 3 „კვებაფაჭრობის“, „ულუფაჭრობის“, „თბილსილამოსტანაჭრობის“, № 1 სასადილოების ტრესტის, რესტორნების და კაფეების ტრესტის საწარმოები (სავაჭრო სამმართველოთა დირექტორები ე. ბადრიაშვილი, ე. ელიაშვილი, ბ. გირკლიძე, ვ. დიდმამიშვილი, ზ. მთაწმინდელი, ვ. ელიზბარაშვილი, მ. ღომთაძე), თვიდან თვემდე ვერ ასრულებენ საგეგმო დავალებებს.

პარტიული დისციპლინის დაბალი დონისა და შესრულებისადმი პარტიის საქალაქო კომიტეტისა და რაიკომების კონტროლის შესუსტებით თქვა ბიისნის სწორედ ის მდგომარეობა, რომ პარტიული კომიტეტებას ბევრ გადაწყვეტილებს დროულად არ აცნობენ პირველადს ორგანიზაციებს, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში მთლიანად არ ასრულებენ.

პარტიის პირველადი პარტიული ორგანიზაციების, რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტის ამოცანაა საჭირო ღონისძიებანი განახორციელონ ყველა რგოლში პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საგსებით სამართლიანად მიგვაჩნია სკკპ ცენტრალური კომიტეტის კრიტიკა, რომელიც ეხება იმას, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი საკმარისად არ ითვალისწინებს დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის სპეციფიკას, ყოველთვის არა აქვს ყურადღებები ცენტრში მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბნები, რომლებიც საჭიროროტოა არა მარტო ქალაქისათვის, არამედ მთელისად რესპუბლიკისთვისაც, ჯეროვნად არ ეგნობა რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა პარტორგანიზაციების მუშაობას.

ამბ. ლოლაშვილმა აღნიშნა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და რაიონული კომიტეტების შესაბამის განყოფილებათა მუშაკები ნაკლებად არიან სამინისტროების, განსაკუთრებით, სახელმწიფო კომიტეტებისა და მთავარი სამმართველოების პარტორგანიზაციებში, საკმისად არ განხილავენ ამ ორგანიზაციათა საქმიანობის საკითხებს, სუსტად განაზოგადებენ მათი მუშაობის გამოცდილებას.

მომხსენებელმა პლენუმის მონაწილეთა ყურადღება მიიპყრო იმას, რომ უნდა გაძლიერდეს კრიტიკა და თვითკრიტიკა — ჩვენი პარტიის საბრძოლო იარაღი, საზოგადოების მამოძრავებელი ძალა. კრიტიკასა და თვითკრიტიკას ჩვენი მუშაობის ცალკეულ რგოლებში ჯეროვან პატივს არ სცემენ და არ ახალისებენ.

საჭიროა განუხრელად ვიცავდეთ პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებსა და ხელმძღვანელობის პრინციპებს, რომლებიც იმის საიმედო გარანტიას გვაძლევენ, რომ თავიდან ვიცილოთ შეცდომები, ცალკეულ მუშაკთა ყოყოჩობა და თანამდებობის ბოროტად გამოყენება.

პარტიის საქალაქო კომიტეტი პარტიის რაიკომებისაგან, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისაგან, ყველა ხელმძღვანელი მუშაკისაგან მოითხოვს ბოლო მოუღონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის შეუფასებლობას.

იმ ამოცანათა გადაწყვეტაში, რომლებიც პარტიამ დაგვისახა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კადრების სწორად შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას. მაგრამ კადრებთან მუშაობაში გვაქვს სერიოზული ხარვეზები, რაზეც სრულიად სამართლიანად მიაპყრო ჩვენი ყურადღება სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა.

კადრების საკითხების გადაწყვეტასას ხშირად იჩენენ უპრინციპობას, ლიბერალიზმს, არ ითვალისწინებენ კოლექტივის, პარტიული ორგანიზაციის აზრს. ამის შედეგად პასუხსაგებ თანამდებობებზე ზოგჯერ ხვდებიან სუსტი მუშაკები, რომლებსაც არ შესწევთ საქმის გაძღოლის უნარი. კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხებს ჯერ კიდევ ჯეროვანი ადგილი არ დაუკავებია საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტებისა და სხვა ორგანოების მუშაობაში. ხდება ხოლმე, რომ კადრებისადმი ნდობის საბაბით იქმნება ყოველისპატიების, ნაკლოვანებებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება ვითარება.

პარტიულ ორგანიზაციათა მოვალეობაა გონიერულად გაანაწილონ კადრები, სისტემატურად შეამოწმონ მათი საქმიანობა, აამაღლონ პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა, მარი დაუჭირონ და წაახალისონ ინიციატივა.

მოხსენებაში განხილული იყო სამეურნეო-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა მხარისადმი პარტიული კონტროლის გაძლიერების საკითხი. უნდა გავაძლიეროთ ამ საქმეში პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული დახმარება, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ისინი სწორად და უფრო ეფექტიანად ასრულებდნენ სკკპ წესდებით მინიჭებულ უფლებას კონტროლი გაუწიონ ადმინისტრაციის საქმიანობას, აღრეთვე დაწესებულებათა და უწყებათა აპარატის მუშაობას, თუ როგორ ასრულებენ პარტიისა და მთავრობის დირექტივებს.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მთელი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საკითხს. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა ამ დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ჯერ კიდევ სუსტად უკავშირდებ ცხოვრებას, იმ კონკრეტულ ამოცანათა გადაწყვეტას, რომლებიც ქალაქის პარტიული ორგანიზაციის, საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივების წინაშე დგას. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მშრომელთა აღზრდას შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით. იდეოლოგიური მუშაობისა და ზნეობრივი აღზრდის საკითხებში ჯეროვან აქტივობას არ იჩენენ პრესა, რადიო და ტელევიზია.

პარტიულ ორგანიზაციათა მოვალეობაა ამამაღლონ მოვამთხვნელობა და მარქსისტულ-ლენინური სწავლების როლი კომუნისტთა და უპარტიოთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, ღრმად და ყოველმხრივ შეისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები, სკკპ XXIV ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალები, ეს მუშაობა დაუკავშირონ კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც ქვეყნის წინაშე, თვითეული კოლექტივის, რაიონის, ქალაქის წინაშე დგას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღირა მოელ რიგ ფუნდამენტურ ამოცანებში, თქვა ამბ. ლოლაშვილმა, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის გაძლიერებას.

თბილისი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მრავალეროვანი ქალაქია. აქ ცხოვრობენ და შრომობენ 70-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები. ეს მოითხოვს, რომ პარტიული ორგანიზაციები მუდამ ყურადღებით კიდეზოდნენ ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს.

მომხსენებელმა მოიყვანა კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ანასიათებენ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის გაწეულ მუშაობას. ამას წინათ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის მშრომელებში პროპაგანდა გაუწიონ მოკავშირე რესპუბლიკების მიღწევებს ეკონომიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში. თბილისელთა პირველი ტანმრები იყვნენ მოძმე აზერბაიჯანის დედაქალაქის წარმომადგენლები. დეკემბრიდან „ხალხთა ლენინური მეგობრობა“ ჩაიარა ბაქოს მშრომელთა წარმომადგენლების შეხვედრამ ჩვენი ქალაქის მშრომელებთან.

მაგრამ, როგორც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მშრომელთა, განსაკუთრებით ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას.

ამბ. ლოლაშვილმა თქვა, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ჩვენი სახელმწიფოს ისტორიის სწორად გაშუქებას მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე. უკანასკნელ ხანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების და ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისციპლინების კათედრების კოლექტივებმა ბევრი რამ გააკეთეს საქართველოსა და ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ეტაპების, მეცნიერული კომუნიზმის, პოლიტეკონომიის, ფილოსოფიის, საქართველოს ისტორიის მეცნიერული დამუშავებისათვის, და სხვ. გამოიცა მთელი რიგი საინტერესო განმაზოგადებული წიგნები და მონოგრაფიები, რომლებიც შექმნეს როგორც ავტორთა კოლექტივებმა, ისე ცალკეულმა მეცნიერებმა.

ამასთანავე შეიქმნა ნაშრომები, რომლებშიც არ არის კლასობრივი მიდგომა ჩვენი პარტიის ისტორიის ცალკეული ეტაპებისადმი. მომხსენებელი შეეხო სერიოზულ იდეურ-პოლიტიკურ შეცდომებს, რომლებსაც ზეიცავს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის უ. ი. სიდამონიძის წიგნი „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-1921 წლები)“ და ა. ი. მეხაბიის წიგნი „ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარების ზოგიერთი საკითხი“.

იდეურ-პოლიტიკური ხასიათის მთელი რიგი შეცდომები იყო დაშვებული ეურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (რედაქტორი ო. ნ. ეგაძე).

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების, პრესის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, სახზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ყველა ინსტიტუტის გადაუდებელი ამოცანაა სისტემატურად ხელმძღვანელობდნენ საგამომცემლო ორგანიზაციათა მუშაობას, ღრმად სწვდებოდნენ სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოების საქმიანობას, მათი ყურადღების ცენტრში უდამ იყოს წიგნებისა და სადისერტაციო შრომების შინაარსი და იდეური მიმართულება, გადაჭრით ებრძოდნენ ნაციონალისტურ და შოვინისტურ ტენდენციათა ყოველგვარ გამოვლინებას.

კომუნისტური მშენებლობის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას საერთოდ ინტელიგენციასთან და კერძოდ საშეცნიერო და შემოქმედების ინტელიგენციასთან. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე შემოქმედებითი ინტელიგენციის წინაშე დგას ახალი დიდი ამოცანები. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი მოვალენი არიან ბეჯითად იშრომონ, ძალღონის დაუზერებლად სისტემატურად და ღრმად შეისწავლონ მარქსისტულ-ლენინური იეორია, საზოგადოებრივი განვითარების კანონები, ებრძოლონ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, მთელი ნიჭი მოახმარონ მხატვრულად სრულფასოვანი ნაწარმოებების შექმნას, რომლებშიც მთავარი გმირი უნდა იყოს მშრომელი ადამიანი, კომუნიზმისათვის მებრძოლი.

პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის მთავარი ამოცანაა, თქვა შემდეგ ამბ. ლოლაშვილმა, დარაზმონ ყველა კომუნისტი, კომკავშირელი, ყველა მშრომელი მატერიალური წარმოების შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებისათვის, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

განდლიმა წელმა ჩაიარა დიდი შრომითი აღმავლობისა და სამრეწველო წარმოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის ნიშნით. მრეწველობისა და ტრანსპორტის ორგანიზაციათა მუშაობის ახალი წლის პირველი შედეგები მთლიანად დადებითია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ სამრეწველო საწარმოში მეტისმეტად დაბალია წარმოების მატებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, დამაკმაყოფილებლად არ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, უშვებენ მოძველებულ პროდუქციას. სრულიად შეუწყნარებელია ისიც, რომ ზოგიერთი საწარმო თავს ვერ აერთვეს შემცირებულ საგეგმო დავალებებსაც კი და ვერ იცავს გასული წლის შესაბამისი პერიოდის წარმოების ტემპებს. მოხსენებელმა დასახელა ჩამორჩენილი საწარმოები, ანალიზი გაუკეთა მათს მუშაობას.

პარტიის საქალაქო კომიტემა და რაიკომებმა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უნდა განახორციელონ დადგენილების ღონისძიებანი მეცხრე ხუთწლედისათვის გათვალისწინებული სამრეწველო წარმოების ზრდის გეგმების უთუოდ და სისტემატურად შესრულებისათვის.

წარმოების სრულყოფის, მისი ტექნიკური დონის ამაღლების და, მასასადამე შრომის ნაყოფიერების ზრდის ამოცანები შეიძლება წარმატებით გადაიჭრას მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა დანერგვის საფუძველზე. მოხსენებაში აღნიშნულია ამ დარგში არსებული ნაკლოვანებანი.

ამბ. ლოლაშვილმა ილაპარაკა იმაზე, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიკომები უფრო ღრმად უნდა ხელმძღვანელობდნენ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობას. უნდა აღმოიფხვრას ეგოიზმი, რასაც ავლენს ზოგიერთი მეცნიერი, ტენდენციები, რომ თავი აარიდონ განსაკუთრებით აქტუალური და რთული კომპლექსური პრობლემების დამუშავებას, მარტო „თავისთვის“ მუშაობადმი მისწრაფება. ვერ შევუფრიდგებით იმას, რომ მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებებში არ არის პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, გაბატონებულია ბაამებლობა და მლიქვნელობა.

მეცნიერებათა აკადემიამ, სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა, ბაომა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ მეცნიერული მუშაობის მაღალი ხარისხი, გამოიყენონ წარმოებასთან მეცნიერების კავშირურთიერთობის გამოცდილება.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო საქმის ვითარებას კაპიტალურ მშენებლობაში. კაპიტალდაბანდებათა გეგმა მთლიანად ქალაქში შარშან შესრულდა 96,5 პროცენტით, საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაეცმის გეგმა კი მხოლოდ 50 პროცენტით.

ქალაქში სამშენებლო საქმის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „ქალაქ თბილისში საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებაში სხვა ღონისძიებებთან ერთად დასახულია მოქმედი სახლთამშენებელო საწარმოების რეკონსტრუქციისა და ახალი საწარმოების მშენებლობის ფართო პროგრამა. ეს სამუალებას მოგვცემს მტკიცე ინდუსტრიული ბაზა შევუქმნათ საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებას.

მოხსენებაში გაშუქებულია საკითხები, რომლებიც შეეხება ქალაქის კეთილმოწყობასა და სანიტარულ მდგომარეობას, გაკრიტიკებულია მშრომელთა საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და სამედიცინო მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებანი. მოსახლეობის მომსახურების სფეროს ყველა რგოლის მუშაობის გადამწყვეტი გაუმჯობესება უპირველესი პოლიტიკური და სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხია.

ამიტომ მნიშვნელოვნად უნდა გაძაძლიეროთ პარტიული კონტროლი და მომთხოვნელობა, ავიყვანოთ საყოფაცხოვრებო სამსახურის, ვაჭრობისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მთელი მუშაობა თვისებრივად ახალ საფეხურზე.

შეეხო რა იმას, თუ რაოდენ საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა მექრთამეობის, სასახლო დოვლათის დატაცების, სპეკულაციის წინააღმდეგ, ამბ. ლოლაშვილმა აღნიშნა, რომ პროკურატურის, გამომძიებლისა და სახალხო სასამართლოს ორგანოთა საქმიანობაში ბევრი ნაკლი და ხარვეზია. ხშირია სისხლის სამართლის საქმეთა უსარასხო გამოძიებისა და გამოძიების ვადების დარღვევის შემთხვევები. ცალკეულ შემთხვევებში მექრთამეების, სპეკულანტების, საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევების, ხულიგნების მიმართ გამოაქვთ ყოველად გაუმართლებელი ლიბერალური განაჩენი.

ადმინისტრაციული ორგანოებს (ქალაქის პროკურორი შ. ლეკვაკა, შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი მ. ჯაფარიძე) პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების, ყველა რგოლის ხელმძღვანელობა და პარტიის ყველა წევრის ამოცანა ის არის, რომ ყოველდღიურად მტკიცედ იბრძოლონ ჩვენი საზოგადოებისათვის უკეთ მოვლენების წინააღმდეგ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი თბილისის საქალაქო კომიტეტისაგან, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან, სახალხო კონტროლის, სასამართლოს, პროკურატურისა და ქალაქის მილიციის ორგანოებისაგან მოითხოვს განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი სოციალისტური საკუთრების დაცვაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის, მუქთახორობის წინააღმდეგ, იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის, რომლებიც ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, არღვევენ მართლწესრიგს. ამ მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა დაირაზმონ კომუნისტები, კომკავშირელები, საზოგადოებრიობის მთელი ძალები, ადმინისტრაციული ორგანოები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, თქვა დასასრულ ამბ. ლოლაშვილმა, წარმოადგენს თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის, ყველა საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოს, რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა კომუნისტისა და მშრომელის საქმიანობის საბრძოლო და გაშლილ პროგრამას ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდისათვის.

ამჟამად, როცა შეჯამუშავეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების ათვის ღონისძიებათა კომპლექსი, დაძაბულად უნდა ვიმუშაოთ, კომუნისტებისა და კომკავშირელების, მთელი მშრომელი მოსახლეობის ძალღონე და ენერგია მოვახმაროთ დასახული ამოცანების უთუოდ შესრულებას. საჭიროა მოვაწყოთ ფართო ახსნაგანმარტებითი მუშაობა კომუნისტებსა და მშრომელებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება უნდა გავაცნოთ თვითეულ პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციას, ქალაქის თვითეულ მცხოვრებს.

უნდა განვმარტავდეთ, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისა და თბილისის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულებაა.

საქართველოს დედაქალაქის კომუნისტებისა და ყველა მშრომელთა სახელით ამბ. ლოლაშვილმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ხელმძღვანელობით კიდევ უფრო შეაკავშრებს თავის რიგებს პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს აღნიშნავს სახელოვანი შრომითი გამარჯვებებით, მთელ ძალასა და ენერგიას მოახმარს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას.

მთავარი ყურადღება—მუშაობის დიდმნიშვნელოვან უბნებს

ამბ. ო. ლოლაშვილის მოხსენების გამო კამათში გამოსულმა ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტმა და რაიკომებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დღენიადაგ ყურადღების ცენტრში უნდა იქონინონ მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბნები, გააძლიერონ კომუნისტთა აქტიურობა და პრინციპულობა ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ქ. ბუხრაშვილმა აღნიშნა, რომ პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის მეოხებით თბილისში მოხდა გრანდიოზული გარდაქმნები. გასული ხუთწლედის მანძილზე დიდი წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებმა ეკონომიკისა და კულტურის. ყველა დარგში. მარტო ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში კაპიტალური დაბანდებანი აღმასკომის ხაზით გაიზარდა 59,8 მილიონი მანეთიდან 97,4 მილიონ მანეთამდე, ანუ 63 პროცენტით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“, თქვა შემდეგ ამბ. ბუხრაშვილმა, აღნიშნულია, რომ საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ ბევრი რამ გააკეთა პარტიის ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ამასთანავე დადგენილებაში მხილებულია ჩვენს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

სამშენებლო ორგანიზაციებმა ჩაფშეს საბინაო მშენებლობის გეგმა როგორც მერვე ხუთწლედში, ისე მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს. საჭიროა ასეთი მდგომარეობა სრულიად შეუწყნარებელია. იყო ფაქტები, როცა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომიერი საექსპლოატაციოდ იღებდნენ ახალ საცხოვრებელ სახლებს, რომლებსაც არსებითი ხარვეზები ჰქონდა.

ამბ. ბუხრაშვილი შეეხო საბინაო მშენებლობის, ქალაქის ფვალმომარაგების გაუმჯობესებისა, მთავარი სარინი საკანალიზაციო კოლექტორებისა და საწყლადი ნაგებობების მშენებლობის დაჩქარების, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სამსახურის, ვაჭრობისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მთელი მუშაობა თვისებრივად ახალ საფეხურზე.

ამბ. ბუხრაშვილი შეეხო საბინაო მშენებლობის, ქალაქის ფვალმომარაგების გაუმჯობესებისა, მთავარი სარინი საკანალიზაციო კოლექტორებისა და საწყლადი ნაგებობების მშენებლობის დაჩქარების, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სამსახურის, ვაჭრობისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მთელი მუშაობა თვისებრივ ახალ საფეხურზე.

ამბ. ბუხრაშვილი შეეხო საბინაო მშენებლობის, ქალაქის ფვალმომარაგების გაუმჯობესებისა, მთავარი სარინი საკანალიზაციო კოლექტორებისა და საწყლადი ნაგებობების მშენებლობის დაჩქარების, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სამსახურის, ვაჭრობისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების

კომუნისტი

№3-2 ბელრდი, ხუთშაბათი, 1972 წლის 16 მარტი,

მიწათმოქმედთა შეჯიბრების დევიზია:

მთელი ძალები მოვახმაროთ უხვ მოსავალს!

ქარელის რაიონის მეჭარხლეთა ვალდებულებანი

საფუძვლად აიღეს რა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის დარგში, ქარელის რაიონის მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და 1971 სამეურნეო წელი დაამთავრეს ჩინებული მაჩვენებლებით. დიდი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფო გეგმები და ვალდებულებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს მეჭარხლეებმა. მათ აწარმოეს 47.594 ტონა შაქრის ჭარხალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 31.500 ტონისა. ამ კულტურის უხვი მოსავალი მოიწიეს სოფლების ფცის, რუისის, ქვემო ხვედურეთის, დვანის, დაბა ქარელის კოლმეურნეობებმა, დედოფლის საბჭოთა მეურნეობამ.

რაიონის მშრომელთა შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მთავრობის დადგენილებამ შაქრის ჭარხლის შესასყიდი ფასების მომატების შესახებ. ითვალისწინებენ რა, რომ შაქრის ჭარხლის წარმოებაში ჯერ კიდევ გამოყენებული არ არის რაიონში არსებული ყველა რეზერვი, ქარელელმა მეჭარხლეებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გამოყენების, ჭარხლის ნათესებში აგროტექნიკურ ვადებში ყველა სამუშაოს განხორციელების გზით ამ კულტურის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გადიდდება 460 ცენტნერამდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 294 ცენტნერისა და სულ რაიონი აწარმოებს 51.750 ტონა შაქრის ჭარხალს, მაშინ როცა გეგმით წარმოებული უნდა იქნას 31.500 ტონა. ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება 10 კაპიკით შემცირდება.

ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, აგროგანყოფილებებმა, ბრიგადებმა, მუშებმა და კოლმეურნეებმა იკისრეს კიდევ უფრო გადიდებული ვალდებულებები.

ფცის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 307 ცენტნერის ნაცვლად აწარმოონ 800 ცენტნერი შაქრის ჭარხალი და სახელმწიფოს ჩააბარონ 16.960 ტონა ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.660 ტონისა. ამასთან შრომის ნაყოფიერება გადიდდება ერთიორად, პროდუქციის თვითღირებულება კი შემცირდება 20 კაპიკით.

ამავე საბჭოთა მეურნეობის მეოთხე აგროგანყოფილებამ (უფროსი თ. გელაშვილი) ვალდებულება იკისრა შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გადიდოს 820 ცენტერამდე, პროდუქციის თვითღირებულება შემცირეს 25 კაპიკით.

ფცის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ვ. ფუხამეილმა პირობა დადო, ჰექტარზე მოიწიოს 1.000 ცენტნერი ჭარხალი.

რუსის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა რაციონალურად გამოიყენოს სარწყავი წყალი, გამოიყენოს მოწინავე აგროტექნიკის მთელი კომპლექსი და მოიწიოს 12 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.630 ტონისა. საშუალოდ ჰექტარზე მოიწევს 600 ცენტნერ პროდუქციას, ერთი ცენტნერი ჭარხლის თვითღირებულებას შემცირებს 7 კაპიკით.

ამავე საბჭოთა მეურნეობის № 3 ბრიგადამ (ბრიგადირი შ. გურასპაშვილი) ვალდებულება იკისრა 12 ჰექტარ შაქრის ჭარხლის ნათესში საშუალოდ ჰექტარზე მოიწიოს 650 ცენტნერი პროდუქცია.

ასეთივე დიდი ვალდებულება იკისრეს **დედოფლის საბჭოთა მეურნეობის** მშრომელებმა. ისინი მაქსიმალურად შეიხარჩუნებენ მეცენარეთა რაოდენობას თვითეულ ჰექტარზე, მოიწევენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ 5.600 ტონა შაქრის ჭარხლის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 ათასი ტონისა. ამ კულტურის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე აქ 800 ცენტნერს მიაღწევს.

დაბა ქარელის კოლმეურნეობის კოლექტივი 67 ჰექტარ პლანტაციიდან საშუალოდ ჰექტარზე მოიწევს და სახელმწიფოს ჩააბარებს 550 ცენტნერ შაქრის ჭარხალს, სულ კი 3.685 ტონას. ამ კოლმეურნეობის მეჭარხლემ, სკკპ XXIV ყრილობის დელეგატმა რ. გოგიჩაშვილმა ვალდებულება იკისრა გაპიროვნებული ერთ ჰექტარ ნაკვეთზე მოიწიოს 1.500 ცენტნერი ჭარხალი და 30 კაპიკით შეამციროს ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება.

სოფელ ქვემო ხვედურეთის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა ჰექტარზე მოიწიოს 800 ცენტნერი ჭარხალი და სახელმწიფოს ჩააბაროს 4.640 ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.566 ტონისა.

ამავე კოლმეურნეობის № 1 ბრიგადამ, რომელსაც ე. იაკობაშვილი ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიწიოს 800 ცენტნერი ჭარხალი, ხოლო კოლმეურნე შ. მასურაშვილმა პირობა დადო აწარმოოს 950 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ჰექტარზე გადაანგარიშებით.

სოფელ დვანის კოლმეურნეობის მშრომელები თვითეულ ჰექტარზე მოიწევენ 700 ცენტნერ ჭარხალს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 265 ცენტნერისა და სახელმწიფოს ჩააბარებენ 2.800 ტონა პროდუქციას, მაშინ როცა გეგმა 1.060 ტონას ითვალისწინებს.

ამავე კოლმეურნეობის № 1 ბრიგადამ, რომელსაც დ. მამაგულაშვილი ხელმძღვანელობს, პირობა დადო, რომ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიწევს 800 ცენტნერ შაქრის ჭარხალს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 265 ცენტნერისა, ხოლო ამ ბრიგადის წევრმა შ. ჯუხრუკიძემ ვალდებულება იკისრა მოიწიოს 1.100 ცენტნერი პროდუქცია ჰექტარზე გადაანგარიშებით.

ქარელის რაიონის მშრომელებმა იკისრეს აგრეთვე ვალდებულება 76 ჰექტარი საკვები ჭარხლის ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე მოიწიონ 300 ცენტნერი პროდუქცია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 240 ცენტნერისა და დაამზადონ მეცხოველეობისათვის 2.200 ტონა ძირხვენები ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.624 ტონისა.

ქარელის რაიონის მოწინავე მეჭარხლეთა შეკრების მონაწილეებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და **გადაწყვიტეს შაქრის ჭარხლის წარმოების ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულონ.**

შაქრის ჭარხლის წარმოების გადიდებასთან ერთად ქარელის რაიონის მშრომელები დიდ ყურადღებას დაუთმობენ მეხილეობასაც. მათ იკისრეს ვალდებულება საშობლოს მისცენ 18 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11.170 ტონისა.

ვალდებულებანი მიღებულია ქარელის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებაზე.

> **მოწონებულ იქნას საწარმოთა, მეფერმეობათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, ინსტიტუტთა, სკკ კავშირის რაიონული, ქალაქისა და ოლქის კომიტეტთა ინსტრუქტორთა და მეთაურთა ხუთწლედის მეორე წლის მეგზის ვალამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების საბოლოდ შეჯამების საქმეში.**
>
> **სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ“.**



წარმოების რეზერვების გამოყენებისა და მომჭირნეობის რეჟიმის დათვალიერების შედეგები

რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროთა სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს წარმოების რეზერვების გამოყენებისა და მომჭირნეობის რეჟიმის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივ დათვალიერებაში. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის, საავტომობილო გზების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის სამინისტროთა საწარმოებისა და ორგანიზაციებში დათვალიერების მონაწილეთა რიცხვი შეადგინდა 93.605 კაცს, ანუ მოუმუშავთა საერთო რიცხვის 54,3 პროცენტს.

1970 წლის ოქტომბრიდან 1971 წლის დეკემბრამდე დათვალიერების დროს მისმა მონაწილეებმა შეიტანეს 9.743 წინადადება, რომელთა მიზანია ტექნოლოგიური პროცესების, შრომის ორგანიზაციის სრულყოფა, მასალების, სათბობის, ელექტრო და თბოენერგიის რაციონალური გამოყენება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ჩარხების, მოწყობილობისა და მექანიზმების უკეთ გამოყენება. ამ წინადადებათაგან წარმოებაში უკვე დაინერგა 5.458 წინადადება, რომლებიც ზოგავენ 2.033 ათას მანეთს.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ შეაჯამეს წარმოების რეზერვების გამოყენებისა და მომჭირნეობის რეჟიმის საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგები და აღნიშნეს დიდი მუშაობა, რომელიც გასწიეს აღნიშნულ სამინისტროთა საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

დათვალიერებაში გაიმარჯვეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ქუთაისის ტაქსომოტორების ავტოსტრანსპორტო საწარმოს, გუდაუთის ავტოსარემონტო ქარხნისა და თბილისის №1 მსუბუქი ტაქსომოტორების საწარმოს, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 9 ხიდსარემონტო სამშენებლო სამმართველოს, ფოთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო სამმართველოს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის № 1 და № 4 მეკანიკური ქარხნების კოლექტივებმა. ისინი წარდგენილი არიან საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დიპლომებით დაჯილდოებისათვის.

(საინფორმი).

სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების დათვალიერება

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში საქართველოს დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომი გააქტიურების მიზნით საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის ბიურომ გადაწყვიტეს მოაწყონ საქალაქო დათვალიერება-კონკურსი სტუდენტთა საუკეთესო საერთო საცხოვრებლების გამოსავლინებლად.

დათვალიერება-კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, კულტურულ-მასობრივი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ფორმების სრულყოფასა და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას უმაღლესი სასწავლებლების საერთო საცხოვრებლებში. კონკურსის პირობები ითვალისწინებენ საერთო საცხოვრებლებში მცხოვრები ყველა სტუდენტის ჩაბმას ყოფა-ცხოვრების სოციალისტური კულტურისათვის, სასელმწიფო ქონებისადმი მზრუნველი დამოკიდებულებისათვის, კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

დათვალიერება-კონკურსის დროს უნდა ამაღლდეს სტუდენტთა საბჭოებისა და მათი იდეოლოგიური, კულტურულ-მასობრივი, საბინაო-საყოფაცხოვრებო, სანიტარული, სპორტულ-მასობრივი კომისიების მუშაობის დონე; გაძლიერდეს კონტროლი სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობისადმი; საუკეთესო ოთახისათვის, საუკეთესო სართულისათვის, საუკეთესო კორპუსისათვის გაშლილი შეჯიბრების ეფექტიანობისადმი; რეგულარულად მოეწყოს ლექციები, მოსსენებანი, კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები პარტიისა და კომკავშირის ვეტერანებთან, შრომის ნოვატორებთან, დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან; მოეწყოს სისტემატური მუშაობა სტუდენტთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის, მხატვრული თვითმოქმედებისა და ფიზიკური კულტურის კოლექტივების ორგანიზაციისა და გაძლიერებისათვის.

დათვალიერება-კონკურსის შედეგები შეჯამდება ორ ეტაპად: პირველი— უმაღლეს სასწავლებლებში — 1972 წლის 25 აპრილამდე, მეორე — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილესათვის— 1972 წლის დეკემბერში.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები: პირველი 600 მანეთის ოდენობით, მეორე — 400 მანეთის, მესამე — 250 მანეთის ოდენობით. გარდა ამისა, გამარჯვებულნი ჯილდოდებიან საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საპატიო სიგელით და საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის სიგელით.

შეიქმნა დათვალიერება-კონკურსის საქალაქო და ადგილობრივი კომისიები. საქალაქო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ნ. ვასაძე, მის მოადგილეებად — საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი თ. ღესელიძე და საქართველოს პროფსაბჭოს კულტურულ-მასობრივი განყოფილების გამგე გ. აბაიშვილი. (საქინფორმი).

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიაში

დეპუტატები ზრუნავენ ახალგაზრდობის დასვენებისათვის

14 მარტს გაიმართა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის სხდომა, რომელიც მიეძღვნა საკითხს, თუ რა საქმიანობას ეწევიან ულიანოვსკის ოლქის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები ქალაშვილებისა და ჭაბუკების დასვენების ორგანიზაციისათვის.

ოლქის კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები, კინოთეატრები, ბიბლიოთეკები და მუზეუმები, აღინიშნა სხდომაზე, ბევრ რამეს აკეთებენ, რათა ახალგაზრდობის თავისუფალი დრო გამოიყენონ იმისათვის, რომ მას ჩამოუყალიბონ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა. ქალაშვილებისა და ჭაბუკების პოლიტიკური განათლების ცენტრი გახდა ლენინის მემორიალი.

რაშიდშჩევისა და სენგილეის რაიონებში ტრადიციული გახდა შეხვედრები პარტიის ვეტერანებთან, ადგილენ შობლიური მხარის მატიანეს, ქმნიან საბრძოლო და რევოლუციური დიდების მუზეუმებსა და ოთახებს.

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და საქმიანობის მაგალითით ქალაშვილებისა და ჭაბუკების აღზრდა, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა ხელს უწყობს ახალგაზრდობის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, მისი შრომითი აქტივობის ზრდას. სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომლის დევიზია „ხუთწლედს — ახალგაზრდათა დამკვრილური შრომა, ოსტატობა და ძიება“, მონაწილეობს 130 ათასი ქალაშვილი და ჭაბუკი. რვა ათასზე მეტი სოფლის ახალგაზრდა ჩაება მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის გაშლილ სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში.

სხდომაზე საუბარი იყო იმ არსებით ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არის ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაციაში.

კომისიის მიერ მიღებულ დადგენილებაში განსაზღვრულია ღონისძიებანი, რომლებიც უნდა გახორციელდეს ქალაშვილებისა და ჭაბუკების კულტურული დასვენების ორგანიზაციაში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საგარეო დღე

ოტკპკ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია კანადაში

15 მარტი. (საკდესი). კანადაში იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი.

გუშინ დელეგაცია შეხვდა კანადის ოფიციალურ პირებს, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, გაეცნო კანადის დედაქალაქს. საბჭოთა დელეგაციის წევრებმა დათვალიერეს პარლამენტი, დაესწრნენ სენატის სხდომას, მონაწილეობა მიიღეს სენატის საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტისა და თემთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის გაერთიანებულ სხდომაში.

საბჭოთა დელეგაციის მეთაური ნ. ა. ტიხონოვი შეხვდა კანადის პრემიერ-მინისტრს პ. ე. ტრიუდოს. შეხვედრაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ელჩი კანადაში ბ. პ. მიროშნიჩენკო. საუბრის დროს განიხილეს საერთაშორისო პრობლემები, საბჭოთა კავშირისა და კანადის ურთიერთობის შემდგომი განვითარების, ორი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური კავშირურთიერთობის განმტკიცების საკითხები.

ბულგარეთი

ბულგარეთ-ინდოეთის ეროვნული კომიტეტების ერთობლივი კომუნიკე

15 მარტი. (საკდესი). ბულგარეთ-ინდოეთის ეროვნული კომიტეტების ერთობლივ კომუნიკეში ნათქვამია, ინდოეთ-ბანგლადეშის ომის ბოლოს ინდოეთის ეროვნული კომიტეტი ბანგლადეშის ხალხებს

სასკოლო ნიშანი მიღებულია საკონკურსოდ

დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესები. აბიტურიენტთა საკონკურსო შეჯიბრების ჩამოყალიბებულ სისტემაში შეტანილია რამდენიმე პრინციპული ცვლილება. „პრავდას“ კორესპონდენტმა ო. მატიტინმა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს ვ. ელიუტინს მიმართა თხოვნით კომენტარი გაეკეთებინა მიღებულ ცვლილებათა არსისათვის.

□ □

— ვიაჩესლავ პეტრეს-ძევ, უწინარეს ყოვლისა რა არის ამ სიახლის „არსი“? ასეთ შემთხვევებში მკითხველებს, როგორც თქვენთვის გასაგებია, ტექსტუალური სიზუსტე აინტერესებთ.

— ვფიქრობ, ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ორ გარემოებას. ახალგაზრდის მიერ შესასვლელ გამოცდებზე შეგროვებული ნიშნების საკონკურსო ჯამში შეტანილია საშუალო არითმეტიკული შეფასება, გამოანგარიშებული საშუალო განათლების დოკუმენტიდან.

მეორე: აღარ ხდება იმ საგნების დაყოფა მაპროფილებელ და არამაპროფილებელ საგნებად, რომლებშიც ჩაბარებულ უნდა იქნას შესასვლელი გამოცდები. ადვილი შესამჩნევია, რომ ეს ღონისძიება ეხება უწინარეს ყოვლისა გამოცდას რუსულ ენაში (ან იმ ენაში, რომელზეც სწავლება წარმოებს) და ლიტერატურაში: თხზულებაში შეფასება ახლა ყველა უმაღლეს სასწავლებელში სრულუფლებიან აღგილს დიაჭერს ჩასათვლელი ნიშნების ჯამში.

— ესე იგი ყურადღება მახვილდება ზოგადსაგანმანათლებლო მოამზადებაზე?

— სავსებით სწორია. მიღების წესებში ყოველგვარ ცვლილებათა შეტანის დროს (ამ წესებს კი მუდამ ვაუმჯობესებთ) ჩვენ ვხელმძღვანელობთ მისწრაფებით შემდგომ განვავითაროთ და განვამტკიცოთ შერჩევის ობიექტური კრიტერიუმები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში გზას უხსნიან ნამდვილად ყველაზე ღირსიულ, მომზადებულ და ნიჭიერ ახალგაზრდებს. ამას გვავალებს სოციალური სამართლიანობის პრინციპებიც, რომლებიც მიღებულია საბჭოთა საზოგადოებაში, სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლების ამოცანებიც. პირველკურსელთა შემადგენლობა, როგორც ცნობილია, ბევრ რამეში წინასწარ განსაზღვრავს უმაღლესი სასწავლებლის მთელი მუშაობის წარმატებას.

ასე რომ საშუალო არითმეტიკული შეფასება, აღებული სასკოლო ატესტატიდან, წარმოადგენს აბიტურიენტის არა მარტო ცოდნისა და ნიჭის, არამედ აგრეთვე მისი შრომისმოყვარეობის, მეცადინეობაში კეთილსინდისიერების დონის საკმაოდ კონკრეტულ დასასიათებას. ესენი დიდი ღირებულების თვისებებია; ისინი აუცილებელია თვითეულისათვის, ხოლო იმისათვის, ვინც მიზნად ისახავს უმაღლესი განათლების მიღებას, — განსაკუთრებით საჭიროა.

ერთი სიტყვით, დარწმუნებული ვარ, რომ ამ „მაჩვენებლის“ შეტანა კონკურსის პირობებში გააძლიერებს უმაღლესი სასწავლებლისათვის შერჩევის ობიექტურობას და ხელს შეუწყობს შემთხვევითი ადამიანების შედწევას პირველ კურსზე.

— და მაინც ხომ გვხვდებიან მკვეთრად ფოკუსირებული ნიჭის ადამიანები. ერთი მიმართულებისაკენ მიდრეკილებით შეპყრობილნი, ისინი სკოლაშივე ძნელად ითვისებენ საგნებს, რომლებიც მათი ნიჭის სპეკტრში არ შედის...

— იცით, ვგონებ, რომ მნიშვნელოვნად ვაზვიადებთ ასეთ ადამიანთა რიცხვს. რა თქმა უნდა, თვითეულ განსაკუთრებულ შემთხვევას მიმღები კომისიები ცალკე უნდა განიხილავდნენ, როგორც ეს აქამდე იყო, წესები. ამის შესაძლებლობას იძლევიან: თუ ნიშნების საერთო რაოდენობა თანაბარია, ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ ისინი, ვინც უკვე გამოავლინა თავისი მიდრეკილება არჩეულ სპეციალობაში, აქტიურად მონაწილეობდა სასკოლო წრეებში, ოლიმპიადებში, კონკურსებში, დათვალიერებებში.

მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ამჟამად გაცილებით უფრო ხშირად ვხვდებით არა ბუნებრივ, არამედ ანგარიშიან გატაცებულობას. პრაქტიკული ჭაბუკი, რომელსაც ნიშანში ამოუღია საინჟინრო უმაღლესი სასწავლებელი, ზერელედ იწყებს, ვთქვათ, ლიტერატურის, ისტორიის ფურცლას: ეს ჩემთვის მეორეხარისხოვანი საქმეა, მე სხვა რამით ვარ „ვატაცებულიო“. ხოლო კარგად არის ცნობილი ამ სასკოლო დისციპლინების დიდმნიშვნელოვანი როლი პიროვნების ზნეობრივი, კულტურული, პოლიტიკური ღონის, დასასრულ, ახალგაზრდის საერთო ინტელექტის ჩამოყალიბებაში. აქ რაიმე ხარვეზის შევსება უმაღლეს სასწავლებელში პრაქტიკულად ძალიან ძნელია: ჩვენში დაძაბული სასწავლო პროგრამა მოქმედებს. ამის შედეგად უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი ზოგჯერ, როგორც იტყვიან, ორ სიტყვას ვერ გადაბამს საქმიან დოკუმენტში ან საჯარო გამოსვლაში — ვერ უსწავლია ზეგნიერად ჩამოაყალიბოს თავისი აზრები. თვითონ განსაჯეთ, განა დიდია ასეთი „ბატაცებულობის“ პროფესიული რეპუტაცია თანამედროვე პირობებში.

მე ვფიქრობ, რომ მიღების წესების ახლადდელმა ცვლილებებმა თავიდან უნდა აგვაცილოს, ყოველივე სხვას გარდა, განვითარების ასეთი ცალმხრივობაც. ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში ენასა და ლიტერატურაში გამოცდის სრულუფლებიანობა აიძულებს ჭაბუკს, რომელიც ინჟინრად ემზადება, არანაკლები სერიოზულობით მოეკიდოს თავის ჰუმანიტარულ მომზადებას, ვიდრე მათემატიკურს.

ამ აზრით ახალი წესების გავლენა, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, უმაღლესი სასწავლებლის კედლებით არ შემოიფარგლება, ეს წესები გარკვეულად აამაღლებენ საქმიან დაძაბულობას სასკოლო კლასშიც, სტიმულს მისცემენ მოსწავლეთა მისწრაფებას მიაღწიონ საუკეთესო წარმატებას ყველა დისციპლინაში. ვგონებ, განმტკიცდება მასწავლებლის ავტორიტეტი, მაგრამ გაიზრდება მისი პასუხისმგებლობაც ცოდნის მკაცრი ობიექტური შეფასებისათვის.

ყველასათვის უეჭველია, რომ საშუალო და უმაღლეს განათლებას შორის უფრო მჭიდრო ორგანული კავშირი მყარდება. ცხადია, ვლაპარაკობ არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მხარეზე, ჩვენი სასწავლო პროგრამებისა და მოთხოვნების ურთიერთდაკავშირებაზე, სწავლების მეთოდებში მეტი თანამიმდევნობის დამყარებაზე. ახალგაზრდა, რომელსაც კარგი სასკოლო მომზადება მიუღია, ახლა ხშირად ადვილად ემბება სტუდენტური შრომის რეჟიმში. ეს, გასაგებია, ჯერ კიდევ არ არის მასობრივი ფაქტი, მაგრამ საკმაოდ დამახასიათებელია.

შესაძლებლობანი ასეთი დაახლოებისათვის მომზადებულია სკოლის მასწავლებელთა და უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელთა შემოქმედებითი თანამშრომლობით, რომელიც ტრადიციად იქცა ბევრ სასწავლო ცენტრში. მაგრამ გადამწყვეტი პირობები შექმნილია, რა თქმა უნდა, საბჭოთა სკოლის სწრაფი განვითარებით, მისი ღრმა მასშტაბური მიღწევებით, რომლებმაც შესაძლებლობა მოგვცა დაგვეყენებინა მიმდინარე ხუთწლედის დღის წესრიგში საკითხი ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების შესახებ.

— მართალია, მიღებულ ცვლილებათა მიზანშეწონილობა ცხადია, მაგრამ მე მაგონდება, რომ ამ პრობლემების განხილვის პროცესში უმაღლესი სკოლის სპეციალისტები, მასწავლებლები, მუშები, მეცნიერები, სამეურნეო ხელმძღვანელები, პრესის ფურცლებზე გამოთქვამდნენ საკმაოდ ბევრ სხვა წინადადებას უმაღლეს სასწავლებელში მიღების სისტემის გაუმჯობესებისათვის. რა ბედი ეწია ამ წინადადებებს, ვიაჩესლავ პეტრეს-ძევ?

— უწინარეს ყოვლისა მინდა ღრმა მადლობა გამოვთქვა ყველა იმ ამხანაგისადმი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ რთული, მრავალფაქტორიანი პრობლემის ოპტიმალურ გადაწყვეტათა ძიებაში. ყველა წინადადებას გულდასმით გაუკეთა ანალიზი კომპეტენტურმა კომისიამ. შემდეგ ცხრა უმაღლეს სასწავლებელში ექსპერიმენტული შემოწმება გაიარა მიღების რამდენიმე ვარიანტმა. ამ ექსპერიმენტების შედეგების მიხედვით მიღებულ იქნა ცვლილებანი ახლანდელ წესებში. ისინი გამოვცადეთ შარშან მოსკოვის ეკონომიკისა და სტატისტიკის ინსტიტუტში. მკითხველთათვის ალბათ ინტერესს მოკლებული არ იქნება ექსპერიმენტის ტექნოლოგიური დაწვრილებითი მხარეები. გამოცდები ეწყობოდა ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანის „მინსკ-22“-ის გამოყენებით. შემოწმება გაიარა 10.368 ახალგაზრდამ, რომლებიც დღის განყოფილებაზე შედიოდნენ. მანქანა ავტომატურად აყენებდა კონტროლზე იმ აბიტურიენტებს, რომლებსაც ატესტატის დაბალი ნიშნები ჰქონდათ. ვიზუალური კონტროლი ხორცელდებოდა ტელევიზიის საშუალებით. გულდასმითმა ანალიზმა ცხადყო, რომ ნიშნების საკონკურსო ჯამში ატესტატის შეფასების მონაწილეობა საკმაოდ ობიექტურ ფერადებს მატებს აბიტურიენტის დასასიათებს.

მაგრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავს, რომ დანარჩენი წინადადებანი არქივს ჩაბარდა. ისინი სამინისტროს პერსპექტიულ გეგმებშია. ჩვენ კიდევ არაერთხელ მივმართავთ კოლექტიური აზრის ამ წყაროს და სათანადო პირობების შექმნის კვალობაზე ექსპერიმენტებში გამოვცდით ბევრ მნიშვნელოვან იდეას, შემდეგ კი პრაქტიკაშიც შემოვიღებთ მათ. უმაღლესი განათლების სისტემას მოელის განუწყვეტელი სრულყოფა. კომუნისტური მშენებლობის ინტერესების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

„პრავდა“, 15/III.

მარინე პოპოვიჩის მსოფლიო რეკორდები ეროვნული ბიბლიოთეკა

10 მსოფლიო რეკორდი დაამყარა ამას წინათ საბჭოთა ტურბინისრახნიანი თვითმფრინავის „ან-22“-ის ეკიპაჟმა, რომელსაც მეთაურობს ცნობილი საბჭოთა მფრინავი, კოსმონავტ პავლე პოპოვიჩის მეუღლე მარინე პოპოვიჩი.

მარინე 41 წლისაა. იგი ბრწყინვალედ ფლობს უმაღლესი პილოტაჟის ტექნიკას. მარინე პოპოვიჩის ანგარიშზეა თითქმის 20 ტიპის ათვისებული თვითმფრინავები, რომლებზეც მას არაერთგზის დაუმყარებია მსოფლიო რეკორდები. მარინემ საბჭოთა ქალებიდან პირველმა დაამყარა 1964 წელს მსოფლიოს რეკორდი რეაქტიულ თვითმფრინავზე. 1966 [illegible] წარჩინებით დამთავრა უმაღლესი საავიაციო [illegible] სასწავლებელი. და აი ახლა მარინე სატრანსპორტო ტურბინისრახნიანი თვითმფრინავის „ან-22“-ის მეთაურია. მსოფლიოში არც ერთ ქალს არ უტარებია ცაში ასეთი უზარმაზარი მანქანა.

მარინე პოპოვიჩის ეკიპაჟმა ამ თვითმფრინავით ხუთი მსოფლიო მიღწევა დაამყარა; მიღწეულია საათში ექვსახა კილომეტრზე მეტი სიჩქარე ათასი კილომეტრი სიგრძის მარშრუტზე 30, 35, 40, 45 და 50 ტონა ტვირთით.

ხუთათზე: ზემოთ — თვითმფრინავ „ან-22“-ის ეკიპაჟი. შუაში — ხომალდის მეთაური მარინე პოპოვიჩი. ქვემოთ — თვითმფრინავი „ან-22“ („ანტეი“).

ფოტო ა. გოროხოვისა. (ახალი ამბების სააგენტო).

წიგნი და მკითხველი

საქართველოს მილიციის საბრძოლო გზა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ამას წინათ გამოსცა პროფიფი ხვიჩიას ნაშრომი „საქართველოს საბჭოთა მილიციის ისტორიის ნარკვევები“ (1921-1937). ნაშრომი მიძღვნილია საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის აქტუალური პრობლემისადმი, რომელიც დღემდე არსებითად შეუსწავლელი იყო.

სარეცენზიო ნაშრომის ერთ-ერთი ღირებულება ის არის, რომ იგი თითქმის მთლიანად დაწერილია პირველწყაროების საფუძველზე. ავტორს შეჯითად უმუშავია არქივებში, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე და გამოუყენებია თემის, და საერთოდ საქართველოში საბჭოთა სახელმწიფოებრიობის პრობლემის, შესწავლისათვის საჭირო მნიშვნელოვანი დოკუმენტები და მასალები.

ავტორი არსებითად იკვლევს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ისტორიის ერთ-ერთ პრობლემას. იგი ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი მანქანის მოწყობის, შექმნის აუცილებლობის შესახებ. ასეთი სახელმწიფოებრივი მანქანის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ადმინისტრაციულ-აღმასრულებელი, დამსჯელი და წესრიგის დაცვის ორგანონი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ერთ-ერთი ასეთი ორგანო გახდა მუშურ-გლეხური მილიცია.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვ. ი. ლენინის შეხედულებებსა და დებულებებს საბჭოთა მილიციის შესახებ, ნაჩვენებია კომუნისტური პარტიის პრაქტიკული საქმიანობა მილიციის შექმნისათვის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობას საბჭოთა მილიციის შექმნის, მისი კადრებით უზრუნველყოფისა და პირადი შემადგენლობის მორალურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში.

ნაშრომში კარგად არის გაშუქებული საბჭოთა მილიციის როლი და თავისებურებანი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე. ამავე დროს ნაჩვენებია, თუ ამის შესაბამისად როგორ იცვლებოდა მილიციის ორგანიზაციული ფორმები და სტრუქტურა.

ნაშრომში ვეცნობით დღემდე უცნობ გმირთა მთელ პლეადას, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს საბჭოთა მილიციის განმტკიცებისათვის.

მილიციის მრავალ გამორჩენილ მუშაკს ეს გმირობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ამ ფაქტების გახსენებას და პოპულარიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მილიციის პირადი შემადგენლობის აღზრდისათვის, არამედ, რაც მთავარია, მშრომელთა მასებში მილიციის ავტორიტეტის შემდგომი ამაღლებისათვის.

ავტორი კარგად გვიჩვენებს, საბჭოთა მილიცია ხალხის შვილია და ხალხის ინტერესებს იცავს. ამიტომ იყო, რომ სოციალიზმის მშენებლობის ყოველ ახალ ეტაპზე კავშირი ხალხთან მტკიცდებოდა და ვითარდებოდა, ამაზე კარგად მეტყველებს ნაშრომში ფართოდ გაშუქებული „ჯანსაკუთრებული კომუნისტური რაზმების“ და კერძოდ მილიციის დამხმარე საზოგადოებებისა და ბრიგადების საქმიანობა. მათში ათასობით მშრომელი იყო გაერთიანებული. მშრომელებმა ამ გზით დიდი დახმარება აღმოუჩინეს მილიციას დანშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გამოკვლევის ძირითად ნაწილს თან ერთვის დამატება. მასში გამოქვეყნებულია დღემდე უცნობი საარქივო მასალა, პირველწყაროები და დოკუმენტები. ასეთი დამატების დართვაც, ჩვენი აზრით, სავსებით გამართლებულია. წიგნი კარგად არის ილუსტრირებული.

ს. ჩხარტიშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ქვარია მოხდა, ვინ არის დამნაშავე?

ლოთი მძღოლი

სამუშაო დღე იყო, მაგრამ სოფელ ცხრამუხაში სუფრას აღრიანად მიუსხდნენ ხაშურის რაიონის გომის ხე-ტყის სარეალიზაციო ბაზის უფროსი გამყიდველი ვალიკო არჩილის-ძე მარგველაშვილი, ამავე ბაზის მუშა შოთა ისიდორეს-ძე ნოზაძე და ორჯონიკიძის რაიონის სატყეო მეურნეობის მეტყევე შაქრო ალექსის-ძე გოგოლაძე.

კარგად რომ გამოთვრნენ, უკვე ბინდდებოდა. ვ. მარგველაშვილს საკუთარი „ვოლგა“ ჭიშკართან ეყენა. ფეხზე ძლივს იდგნენ სტუმრები. „ვოლგის“ პატრონი და მოქეიფეები ბარბაცით მივიდნენ მანქანასთან, შიგ ჩასხდნენ. ვ. მარგველაშვილმა, როგორც იქნა, ავტომობილი ადგილიდან დაძრა და ხაშურისაკენ გააქროლა. ხაშურში ბორჯომის ქუჩაზე დაეჯახა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაშურის № 20 მოძრავი მექანიზებული კოლონის სატვირთო ავტომანქანას. ვ. მარგველაშვილი, შ. ნოზაძე, შ. გოგოლაძე დაშავდნენ და საავადმყოფოში მოათავსეს.

ბ. გორელი.

ჩვენი ეროვნული საუნჯე

ქართული ღვინო საზღვარგარეთ

ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში მრავალ ექსპონატთა შორის მნახველთა ყურადღებას იპყრობს ოქროს მედალი ფრანგული წარწერით, რომელიც ხავერდის ბალიშზე დევს. ეს ჯილდო 1888 წელს ბრიუსელში საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიუღია ილია ჭავჭავაძის მეზობელსა და მეგობარს ზაქარია ჯორჯაძეს, რომელმაც პირველმა გაიტანა საზღვარგარეთ ქართული ღვინო და სახელი გაუთქვა ჩვენებური ვაზის ძვირფას ნაყოფს. გამოფენაზე წარდგენილი იყო სოფელ ეფისული რქაწითლისაგან დაყენებული ღვინო.

საინტერესო ექსპონატი ტყუილად როდი მოხვედრილა სახლ-მუზეუმში. საქმე ის არის, რომ ილია ცნობილია როგორც საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების დიდი ქომაგი, იგი მას ხალხის ეკონომიკისა და კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთ მთავარ პირობად მიაჩნდა. „ჭეშმარიტი ღვინო“ — ასე უწოდებდა ილია ჭავჭავაძე ქართულ ღვინოს, იღვწოდა, რომ მისთვის გზა გაეხსნათ რუსეთის ბაზარზე, სადაც საზღვარგარეთიდან ეს სასმელი ოქროს ფასად შემოჰქონდათ.

მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გახდა შესაძლებელი ნამდვილი ეკონომიური განვითარება მიეღო ჩვენს ამ უძველეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

1939 წელს ლონდონში საერთაშორისო გამოფენაზე გაიგზავნა 4.000 დეკალიტრი ღვინო „რქაწითელი“ და „საფერავი“, რომელიც დამზადებული იყო ადგილობრივი, ე. ი. კახური წესით. ამ ღვინოებმა მაშინ უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს, და უცხოეთის პრესაში პირველად გამოითქვა აზრი, ქართულ ღვინოს შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს განთქმულ ფრანგულ ღვინოებსო. მას შემდეგ ქართული ღვინოები უცვლელი წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო კონკურს-გამოფენებზე, განსაკუთრებით კი უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში.

საუკეთესო შეფასება და ჯილდოები დაიმსახურა ქართულმა ღვინომ 1954 წელს და შემდგომ წლებში საერთაშორისო გამოფენებზე ლონდონში, კოპენჰაგენში, ლაიპციგში, ვენაში, დამასკოში, მილანში, ინგლისში...

მარტო ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, საერთაშორისო კონკურსებზე იუგოსლავიაში, რუმინეთში და უნგრეთში, თბილისსა და იალტაში (ყირიმი) ქართული ღვინოები და კონიაკები დაჯილდოვდნენ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით.

ქართულ ღვინოებს, კონიაკებსა და შამპანურებს სულ მიღებული აქვთ 250 ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი. მეღვინეობის საერთაშორისო კონკურსებზე, რომლებსაც ეს წერტილად სულ ცოტა 25 ქვეყნის წარმომადგენლნი, ხდება ღვინოების შედარება, მათი შეფასება, მათ შორის საუკეთესოს გამოვლინება.

აღსანიშნავია ინტალიის მეგენახეობა-მეღვინეობის აკადემიის პრეზიდენტ დ. დალმასოს სტატია „მევენახეობა და მეღვინეობა ამიერკავკასიაში“, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა „ურნალ „იტალიის სოფლის მეურნეობაში“. ამ სტატიაში ავტორი განმარტავს, თუ რატომ იქნა არჩეული 1962 წელს საქართველოს დედაქალაქი მევენახეობა-მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესის ადგილად.

როგორც ცნობილია, კონგრესს ესწრებოდა განთქმული ფრანგი მეღვინე ბარონი ლერუა. კონგრესის სხდომაზე მან განაცხადა: ქართული ღვინოები ჩემში იწვევენ საუკეთესო სურვილებს. ქართული ღვინოები მარადიოდნენ. მადლობა იმათ, ვინც შექმნა ეს სიიოცხლის ელექსირი, მადლობა იმათ, ვინც მომცა შესაძლებლობა გამეცნო საუცხოო, ღვინისაგან დალოცვილი ქვეყანა.

და აი ყოველწლიურად ასეულ ათასობით დეკალიტრი ქართული ღვინო, კონიაკი და შამპანური იგზავნება გერმანიის დემოკრატიულ და ფედერაციულ რესპუბლიკებში, იტალიელებში, ჩეხოსლოვაკიაში, მონგოლეთსა და სხვა ქვეყნებში.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ხარისხის ნიშანი ერთ-ერთმა პირველთაგანმა რესპუბლიკაში მიიღეს „წინანდალმა“ და „მუკუზანმა“. ხარისხის ნიშანი მიღებული აქვს აგრეთვე „ხვანჭკარას“, „ქინძმარაულს“ და „ახაშენს“. ამიერიდან ეს ღვინოები გამოდიან მსოფლიო პრიზდუქციის სტანდარტების დონეზე.

რესპუბლიკის მეღვინეობის განვითარებაში მცირე წვლილი როდი შეაქვს სამტრესტის თბილისის № 1 ღვინის ქარხანას, რომლის ნაწარმი სულ უფრო მზარდი მოწონებით სარგებლობს საკავშირო და საერთაშორისო ბაზარზე. ქარხნის — კომუნისტური შრომის საწარმოს კოლექტივი კვლავ ჩვეული ენერგიითა და ენთუზიაზმით იბრძოლებს, რათა დირსეულად, მაღალი მაჩვენებლებით შეასრულოს მეცხრე ხუთწლედით მის წინაშე დასახული ამოცანები.

ჯ. მგალობლიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინე.



გუშინ, დღეს

გუშინ ყველგან უნალექო ამინდი იყო. დასავლეთ საქართველოში 12 საათზე იყო 6-10, აღმოსავლეთ საქართველოში 4-9, თბილისში — 7 გრადუსი სითბო.

დღეს, 16 მარტს, დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მცირე მოღრუბლულობა უნალექოდ, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 7-12 მეტრის სიძლიერის ქარი, ბარში დღისით იქნება 12-17 გრადუსი სითბო, ღამით მინუს 2 — პლუს 2 გრადუსი, მთაში დღისით 7-12 გრადუსი სითბო, ღამით 1-5 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, ბარში დღისით იქნება 10-15 გრადუსი სითბო, ღამით 2-7 გრადუსი ყინვა, მთაში დღისით 5-10 გრადუსი სითბო, ღამით 10-12 გრადუსი ყინვა.

თბილისში — უნალექო ამინდი, დღისით 13-15 გრადუსი სითბო, ღამით ნული გრადუსი.

გ. იმნაიშვილი



გარდაიცვალა სკკპ წევრი 1941 წლიდან, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი **გიორგი დავითის-ძე იმნაიშვილი.**

გ. იმნაიშვილი დაიბადა 1914 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში. 1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო გეგეჭკორის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის მოადგილედ. 1945 წელს იგი გადმოყვანილ იქნა თბილისში და მუშაობდა ჯერ თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მე-4 პოლიკლინიკაში, ხოლო შემდეგ მე-2 სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში მთავარი ექიმის მოადგილედ. 1949 წლიდან გ. იმნაიშვილი შუშაობდა თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ოქტომბრის რაიონის მე-6 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარ ექიმად.

იგი რამდენჯერმე იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის წევრად, ოქტომბრის რაისაბჭოს დეპუტატად, ხელმძღვანელობდა ჯანმრთელობის დაცვის, სოციუზრუნველყოფის და ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუდმივმოქმედ კომისიას.

კარგი სპეციალისტისა და ხელმძღვანელის, გულისხმიერი ექიმის გ. იმნაიშვილის ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრებისა და თანამოსაქმეების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საჭადრაკო ფესტივალის ფინიში

ქ. კუშნირს — რვიდან 8 ქულა

მოჰადრაკეთა დიდი ფორუმი მოსკოვში დამთავრდა, შეჯამებულია ორკვირიანი ბრძოლის შედეგები, ცნობილია პრიზიორები.

საპრიზო ადგილების ბედი დამოკიდებული იყო გადადებული პარტიების დამთავრებაზე. აი მეხუთე ტურის საბოლოო შედეგები: **საქართველო — მოსკოვი 2:10, რსფსრ — უკრაინა 6:6, ლენინგრადი — ლატვია 7,5:4,5, ბელორუსია — სომხეთი 5,5:6,5, უზბეკეთი — ესტონეთი 4:8, აზერბაიჯანი — უზბეკეთი 6,5:5,5, თურქმენეთი — ტაჯიკეთი 8:4, ყირგიზეთი — ლიტვა 5:7.**

ამრიგად, მოსკოველებმა 37,5 ქულა შეაგროვეს და ოლიმპიადაზე პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გამოვიდა რსფსრ-ის მოჭადრაკეთა კოლექტივი — 34,5 ქულა, მესამეზე — უკრაინის გუნდი — 33 ქულა. მომდევნო სამი ადგილი პირველ ფინალურ ჯგუფში მოიპოვეს ლენინგრადელებმა — 30 ქულა, საქართველოს ნაკრებმა — 24 ქულა და ლატვიის გუნდმა — 21 ქულა.

მეორე ფინალურ ჯგუფში, სადაც თამაშდებოდა მეშვიდე-მეთორმეტე ადგილები, საბოლოო შედეგები ასეთია: ესტონეთი — 34,5 ქულა, ბელორუსია — 34 ქულა, აზერბაიჯანი — 31 ქულა, სომხეთი — 30 ქულა, უზბეკეთი — 27,5 ქულა, ყაზახეთი — 23 ქულა.

მესამე ფინალურ ჯგუფში, სადაც გათამაშდა მეცამეტე-მეჩვიდმეტე ადგილები, გუნდების საბოლოო შედეგები ასეთია: ლიტვა — 31 ქულა, მოლდავეთი — 25,5 ქულა, თურქმენეთი — 22,5 ქულა, ყირგიზეთი — 22,5 ქულა (ამ ორი უკანასკნელი გუნდის „პირად“ შეხვედრაში გაიმარჯვეს თურქმენელებმა), ტაჯიკეთი — 18,5 ქულა.

ოლიმპიადაზე აბსოლუტური ტიტული ეკუთვნის პირადი შედეგი აღმოაჩნდა მოსკოველ ალა კუშნირს, რომელმაც რვა შეჯიდრიდან რვავე მოიგო.

ჯილდოები გამარჯვებულთ

14 მარტს მოსკოვის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ძალოსნობის სასახლის ხალხით გაჭედილ დიდ დარბაზში საზეიმოდ დაიხარა საკავშირო ხაჭადრაკო ოლიმპიადა.

ოლიმპიადის ხაორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარემ, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ვ. ი. სევასტიანოვმა, შეეხო რა ამ გრანდიოზულ ასპარეზობას, აღნიშნა, რომ 17 ნაკრები გუნდის მონაწილეებმა ითამაშეს 864 პარტია და ეს დიდი წვლილია არა მარტო თანამედროვე საჭადრაკო ხელოვნებაში, არამედ სსრ კავშირის ხალხთა შემოქმედებითი თანამეგობრობის მაგალითია.

მოსკოვის გუნდს გადაეცა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თასი და საკავშირო ალაკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო პრიზი.

პრიზიორი გუნდების მონაწილეებს გადაეცათ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

(საკდესი).

სსრ კავშირის თასზე

გუშინ გაიმართა მეორე მერვედფინალური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე. თამაშობდნენ ლენინგრადის გუნდები — „ზენიტი“ და „დინამო“. შეხვედრის შედეგია 2:0 „ზენიტის“ სასარგებლოდ. ასეთივე ანგარიშით „ზენიტს“ მოგებული ჰქონდა პირველი მატჩიც, ამიტომ **გუშინ** გაიმართა მეორე მერვედფინალური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე. თამაშობდნენ ლენინგრადის გუნდები — „ზენიტი“ და „დინამო“. შეხვედრის შედეგია 2:0 „ზენიტის“ სასარგებლოდ. ასეთივე ანგარიშით „ზენიტს“ მოგებული ჰქონდა პირველი მატჩიც, ამიტომ **გუშინ** სოჭში შედგა თასის გათამაშების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში ალმა-ატის „კაირატისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ გუნდებს შორის. ეს იყო უკანასკნელი პირველი მერვედფინალური ასპარეზობა. შეხვედრის შედეგია ფრე — 1:1.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ტელევიზია

16 მარტი

პირველი პროგრამით

11.05 — კინონარკვევი „ედუარდ ტისენ“, 12.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ტანად ყანაში“, 13.25 — სატელევიზიო ფილმი „მოსკოვის სატირის თეატრი“. 17.05 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — ბავშვებისათვის. მხატვრული ფილმი „მწუხარე ძიწკვები“, 19.30 — განცხადებები, 19.35 — „სსრკ-50“. „ჩვენი სამეგობრო ნობათი“, 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ოქროს კარები“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი, 23.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „რას გვიამბობენ სიტყვები“, 23.35 — სპორტული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (ბლეზ პასკალი), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (დადებითი და უარყოფითი რიცხვების შეკრება და გამოკლება ახალი პრო